სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დავით კვესელავას სახელობის სტიპენდიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დავით კვესელავას სახელობის სტიპენდია ინიშნება ყოფილი მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის, ბიზნესმენ იოსებ მაჭავარიანისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ერთობლივი ინიციატივით.

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში -„უნივერსიტეტი“) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - „ფაკულტეტი“) დავით კვესელავას სახელობის სტიპენდია (შემდგომში - „სტიპენდია“) ყოველსემესტრულად ენიჭება უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა მათემატიკის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ერთ სტუდენტს.
3. სტიპენდიის დაწესების მიზანია ბაკალავრიატის მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა წახალისება.

მუხლი 2. სტიპენდიის მინიჭების პირობები
1. სტიპენდია გაიცემა სემესტრულად წინა კალენდარული სემესტრის შედეგების გათვალისწინებით, ბაკალავრიატის მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტზე.
2. სტიპენდია არ გაიცემა:
ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტზე;
ბ) დამატებითი სემესტრის სტუდენტზე;
გ) დასაფინანსებელ წელს მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;
დ) წინა კალენდარულ სემესტრში სტატუსშეჩერებულ სტუდენტზე;
ე) დასაფინანსებელ სემესტრში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გასაცემი თანხის სხვა (რეიტინგით მომდევნო) სტუდენტისთვის სტიპენდიის სახით დანიშვნის თაობაზე.

მუხლი 3. სტიპენდიანტის შერჩევის წესი
1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია.
2. კომისია იქმნება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მენციერებათა ფაკულტეტის მიერ.
3. სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განხორციელდება აკადემიური მოსწრებით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა კალენდარულ სემესტრში სასწავლო კურსებში მიღებული შეფასების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.
4. სტიპენდია ენიჭება საუკეთესო შეფასებების მქონე კანდიდატს.
5. ორი ან მეტი ერთისა და იმავე საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე კანდიდატის არსებობის შემთხვევაში, კომისიის მიერ სტიპენდიანტის შერჩევა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
ა) სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება (წინა სემესტრში გამოქვეყნებული. დასაბეჭდად გადაცემული ნაშრომები).

ბ)სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები).

6.საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი ვალდებულია კომისიას მიაწოდოს ინფორმაცია საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების შესახებ.

7.კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებთან შესაბამისობისა და სტიპენდიის გაცემის თაობაზე, დასკვნას ამზადებს კომისია.

8. სტიპენდია ინიშნება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

9. სემესტრული სტიპენდია შეადგენს 500 (ხუთას) ლარს. სტიპენდია გაიცემა სემესტრში ერთხელ.

10.სტიპენდიისათვის განკუთვნილი თანხა კონკრეტული სემესტრის კონკურსის გამოცხადებამდე სრულად ერიცხება უნივერსიტეტს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადება და სტიპენდიანტებისათვის შესაბამისი ოდენობის სტიპენდიის ყოველთვიური ჩარიცხვა.